„RECYCLING" LTD შპს „რეციკლინგი"

Moscow ave 24a; Tbilisi, Georgia
Tel. (+99532) 270 91 81

საქართველო, თბილისი; მოსკოვის გამზ. 24ა
საიდენტიფიკაციო კოდი 406060042

№ 01/27

23.07.2021ნ.

საქართველოს გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილეს

ქალბატონ ნინო თანდილაშვილს

თქვენი 2021 წლის 25 ივნისის № 6419/01
წერილის თაობაზე, რომელიც ეხება ამ წერილში
მოცემული შენიშვნების შესაბამისად ქ. რუსთავში
ჯავახიშვილის ქ. №7-ში სახიფათო და არასახიფათო
ნარჩენების წინასწარი დამუშავებისა და აღდგენის საწარმოს
მოწყობისა და ექსპლუატაციის პროექტის სკოპინგის
განცხადებაზე დაზუსტებული/დამატებითი ინფორმაციის წარმოდგენას

ქალბატონო ნინო,

განხილული იქნა თქვენი 2021 წლის 25 ივნისის № 6419/01 წერილი, რომელიც ეხება ქ.რუსთავში ჯავახიშვილის ქ. №-ში სახიფათო და არასახიფათო ნარჩენების წინასწარი დამუშავებისა და აღდგენის საწარმოს მოწყობასა და ექსპლუატაციას და აღნიშნული წერილში მოცემული შენიშვნების გათვალისწინებით (ამ შენიშვნების შესაბამისად და თანმიმდევრულად) წარმოგიდგენთ დაზუსტებულ/დამატებით ინფორმაციას წინამდებარე წერილის დანართის სახით.

ამასთანავე, გაცნობებთ რომ სკოპინგის პროცედურის დაწყებისას კომპანიის მიერ გათვალისწინებული იქნა საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი"-ის ის მოთხვნა (მუხლი 8, პუნქტი1), რომლის შესაბამისად „საქმიანობის განმახორციელებელი ვალდებულია საქმიანობის დაგეგმვის შემლებისდაგვარად ადრეულ ეტაპზე სამინისტროს წარუდგინოს სკოპინგის განცხადება სკოპინგის ანგარიშთან ერთად" და ის მოთხვნა (მუხლი 8, პუნქტი 3), რომლის შესაბამისად განსაზღვრულია ის საკითხები, რომელსაც უნდა მოიცავდეს სკოპინგის ანგარიში მ.შ. დაგეგმილი საქმიანობის მოკლე აღწერა.

მოცემულ ეტაპზე კომპანიის მიერ აქტიურად მიმდინარეობს მუშა პროექტზე მუშაობა, რომლის დასრულებისათვის გათვალისწინებული მთელი რიგი საკითხების დაზუსტება, რის გამოც ამ ეტაპზე კომპანია მოკლებულია ზოგიერთი საკითხის დაზუსტების შესაძლებლობას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გთხოვთ სკოპინგის ანგარიშის და მოცემულ ანგარიშზე დაზუსტებული/დამატებით იინფორმაციას შესწავლის საფუძველზე გასცეთ სკოპინგის დასკვნა, რომლითაც ასევე განისაზღვრება გზშ-ის ანგარიშის მომზადებისთვის საჭირო კვლევების, მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის ჩამონათვალი, ხოლო კომპანიის მიერ გათვალისწინებული იქნა საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი"-ის ის მოთხვნა (მუხლი 9, პუნქტი 6), რომლის შესაბამისად „სამინისტროს მიერ გაცემული სკოპინგის დასკვნა სავალდებულოა საქმიანობის განმახორციელებლისთვის გზშ-ის ანგარიშის მომზადებისას".

№ 13232
"26" 07 2021
2/35+CD

დანართი: 1. ქ. რუსთავში ჯავახიშვილის ქ. №7-ში სახიფათო და არასახიფათო ნარჩენების წინასწარი დამუშავებისა და აღდგენის საწარმოს მოწყობისა და ექსპლუატაციის სკოპინგის განცხადებაზე დაზუსტებული/დამატებითი ინფორმაცია- 35 გვ.

პატივისცემით,

ჰაქან იავუზ

შპს „რეციკლინგი"-ს დირექტორი